თბილისი, 1941 წ.
კვირა, 14 სექტემბერი.

№20
ფასი 50 კ.

# ნიკაბი

13/IV 1941 წ.
5 ლ.
№ 337

ᲐᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡᲐ ᲡᲬᲝᲛᲔᲑᲘ, ᲛᲝᲛᲚᲘᲜᲔᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ!

ნახ. Შ. ნადარეიშვილისა.

## ᲘᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲦᲘᲠᲘ

— გაინავარდე ჩემო კვატიკო, რამ შეგაჩერა?
— ვერა ხედავ, სიმართლის ხმებმა რკალი შემოგვარტყა? მათთან მე კი არა, შენც ვერაფერს გააწყობ!

გამოცემის წელი XVIII
გამომცემლობა „კომუნისტი".

# არიელის თავის ქალა

„წმინდა სისხლის არიელი“, ერთ მიტინგზე ლაქლაქებდა,
ხალხში „სიმხნეს აღვივებდა“ და ფაშიზმის გზას აქებდა:

— იცით ბრიყვნო,—ამბობდა ის,—რა სიკეთე შემოგძინეთ?
აწ საკუთარ თავზე ფიქრი აღარ გინდათ, როგორც წინეთ;

თქვენ გიყურებთ ფიურერი, ვით უდავო კუთვნილებას,
და უსიტყვოდ უნდა მიჰყვეთ მის არიულ სურვილ-ნებას.

ამას ითხოვს და გავალებთ ტევტონური მტკიცე სული,
წინაპრების საფლავიდან ჩვენში ახლად გადმოსული.

ამ საბუთით, ვით თქვენც ხედავთ, და როგორც გრძნობს ჩვენი გული,
გერმანიის ხალხში გახლავთ აზროვნება აკრძალული.

ხოლო თუ გვსურს არიულად რომ დავრაზმოთ ჩვენი ერი,
ხალხის ნაცვლად ფიქრობს მხოლოდ გესტაპო და ფიურერი

თვით მე პეტერ ჩლიქშტეინი, იმ აზრის ვარ და ვიყავი,
რომ კაცს ტვინი არ სჭირდება, არიული თუ აქვს თავი.

ამის გამო, ყოველ ოლქში, როცა ჰიტლერს ესურვება,—
ტვინის სალიკვიდაციო კომისია დაარსდება.

დასკვნა უკვე ნათელია: ევალება მთელს ჩვენს ერსა,
რომ თავები არიული მან შესწიროს ფიურერსა...

— : —

დაამთავრა ორატორმა, გადახედა დარბაზს ბღვერით,
და ბუდიდან ამოიღო დატენილი რევოლვერი:

— „მე კენჭს ვუყრი,—სთქვა მან ბოლოს,—ვინ ემხრობა ჩემს აზრს სრულად?“
და მსმენელებს, რევოლვერის მიაბჯინა შუბლზე ლულა.

ხალხი სდუმდა, ტყვიის სუსხი სისხლში ცივად სისინებდა,
და მათ ნაცვლად „ხმების მთვლელი“ ორატორი ჭრიჭინებდა:

— ერთი, ორი, ოცი, ასი, ყველა ერთხმად, ერთის მსგავსად,
მაშ ჩავიწერ, რომ ფიურერს ყველა ერთხმად სწირავს თავსა“.

ფრონტისპირად, ბრძოლის შემდეგ, ნანგრევებად ქცეულ ბიდთან
საბჭოეთის გმირი ხალხის პარტიზანთა ჯგუფი ისხდა,—

ასორმოცი კაცს ხუთასამდე ტყვე ფაშისტი დაეჭირა,
და სხვაც ბევრი, მათი მსგავსი ბრძოლის ველზე გაეწირა.

ტყე იწვოდა, წყალი სჩქეფდა, მოგორავდა ტალღა მდორი,
და არიულ თავის ქალებს მოეკენჭათ ველმინდორი.

პარტიზანთან მეთაურმა ტყვეებს დინჯად გადახედა,
და ერთ მათგანს — ფაშისტ ქოფაკს შეეკითხა ის მკვახედა:

— აბა, ცოფით შეპყრობილო, რა გრჯიდა და რას ფიქრობდი,
როცა ჩვენი დიდი ქვეყნის „დასაპყრობად“ მოდიოდი?

— რას ვფიქრობდი? მე არაფერს, აღარ მქონდა ფიქრის ძალა,
რადგან ჰიტლერს ვუფეშქაშე მე, წესდებით თავის ქალა...

თვით მე, პეტერ ჩლიქშტეინი, იმ აზრის ვარ და ვიყავი,

რომ კაცს ტვინი არ სჭირია, არიული თუ აქვს თავი.

— ეგ რა ბოხჩა გაგივსია?—შეეკითხა პარტიზანი...
— ეს მცირედი ულუფაა, ბრძოლის ველზე ნაშოვარი.

— გახსენ...

ბოხჩა მართლაც გახსნეს, დააგროვეს, დადგა ზვავი,
ფაშისტ მკვლელის მურტალ ხელით ნაძარცვი და ნაპარავი,

სხვა ნივთებთან, ქალის ხელი — ზედ საათით და ბეჭდებით,
იმ ბანდიტის მიერ დანით მოკვეთილი—დამშვიდებით.

— ესეც შენი ულუფაა, არამზადავ?—ჰკითხა მწყრალად
და მას შუბლში პარტიზანმა სამი ტყვია დაახალა,

და გარშემო დახვავებულ ფაშისტების თავებს კვალად,
მიუმატა კიდევ ერთი არიული თავის ქალა.

ფარსადანი

## „ნეიტრალიტეტი“

„ბულგარეთმა თავისი სამხედრო ბაზები დაუთმო გერმანიას და იტალიას, სადაც აგრესორები აგროვებენ ჯარებს“.

**გაზეთებიდან**

ნახ. დონისა.



ანუ, ბულგარული ატრაქციონი — გერმანული აკომპანიმენტით.

# სიყვარული ტალონით

„გერმანელთა ალპიურ დივიზიის ყოველ პოლკს უკან მისდევს, ალალთან ერთად, საბარგო ავტო გადაქცეული საროსკიპოდ. ფაშისტ ჯარისკაცებს ურიგებენ „კოცნის ბარათებს“ ტალონებით; ყოველი ტალონი უფლებას აძლევს თავისი პოლკის საროსკიპოში მიიღოს ულუფა „სიყვარული“ როსკიპისა, ისე როგორც სხვა ტალონებით მიიღებს სამზარეულოდან ულუფა ქაშს.“

ნახ. ხ. ნადარეიშვილისა

გაზეთებიდან




**ფაშისტი ჯარისკაცი** (მზარეულს) — **მომეცით ულუფა.**
**მზარეული** — **აქ შენი ულუფა გათავდა, მაგ ტალონით წადი და ულუფანახევარ „სიყვარულს“ მიიღებ.**
**ჯარისკაცი** — **რა მესიყვარულება შე ხეპრევ, როცა კუჭი შიმშილით მეწვის.**

# „გულკეთილი“ მკვლელები

— ჩვენზე კეთილშობილი არმია მსოფლიოში არ დაბადებულა, — გაიძახიან გერმანელი ფაშისტები და ცეცხლს უკიდებენ სოფლებს.

— დიდათ გულჩვილი ხალხი ვყოფილვართ, — გაიძახიან ისინი და ცოცხლად სწვავენ ადამიანებს.

— ძალიან მიყვარს ბავშვები, — წამოიძახა ოფიცერმა, დედას გამოართვა ორი თვის ბავშვი და მეორე სართულიდან გადმოაგდო. ოჰ, ღმერთო ჩემო, ბავშვი გადამივარდა, — წამოიძახა მან და დედასთან მივიდა. — რითი განუგეშო, შე საწყალო? — მიმართა ქალს, — ნახე, იქნებ ამან გიშველოს, — დაუმატა და რევოლვერი დაახალა.

ფაშისტებისათვის სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა ყუმბარების დაშენა სანიტარული ავტომობილისათვის, რომელიც დაჭრილებითაა სავსე, — ეს მათ დიდ გმირობად მიაჩნიათ.

ეს, მათის აზრით, კანონიერია საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით.

ყველა ამის საპასუხოდ ჩვენები ბრძოლაში მუსრს ავლებენ მკვლელების ჯარს.

— ეს საშინელებაა! — გაიძახიან ჰებელსები!

— პარტიზანები, რომლებსაც ფაშისტებმა სახლკარი დაუწვეს და ოჯახი გაუწყვიტეს, ტყეში მიდიან და მკვლელებს თავს ესხმიან გზებზე, ხიდებზე, სოფლად, ქალაქად, დღისით და ღამით.

— ეს ალმაშფოთებელია! პარტიზანები გვესვრიან, ტანკებს გვიფეთქებენ, ფრონტზე მისვლის საშუალებას არ გვაძლევენ! ეს საერთაშორისო უფლების დარღვევაა! — ჰგოდებენ კაცისმკვლელები.

მაშასადამე, როცა მხეცი ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს ჟლეტს, მათ სახლკარს სწვავს, ეს კანონიერია, ცივილიზებული ღონისძიებაა, ხოლო როცა პარტიზანები შურს იძიებენ და ამ მხეცებს ცეცხლითა და ტყვიით უსწორდებიან ეს — საერთაშორისო სამართლის დარღვევა.

კაციჭამიამ სოფელი გადასწვა და მოსახლეობაც შიგ მოაყოლა.

— ეს ნაცისტური მორალია, — ამბობენ ისინი.

პარტიზანებმა, „თვალი-თვალის წილის“ კანონის შესაბამისად, ამოჟლიტეს კაციჭამიები.

— რა უზრდელობაა! რა უეთიკობაა! — გაიძახიან ჰებელსები. — ამდენი წარმატებები მოვიხვეჭეთ და ესენი ამას უბედავენ ჩვენს არმიას.

გერმანიის არმიამ მართლაც წარმატებით მოიხვეჭა კაცის — მკვლელობის, ქურდებისა მძარცველების ბანდის სახელი. და ამ ბანდას სწორედ ისეთივე აღსასრული მოელის, როგორიც მას ეკუთვნის საერთაშორისო და საკაცობრიო კანონის ძალით.

**ალ. მალულარია.**

## შერისხული

„ჰიტლერმა შერისხა ებენლსი, რადგან ლანაკლენლმა ვერ მოახერხა ისეთი პროპაგანდის გაკეთება, რაც ხალმა ნდობით შეხედოს ფაშისტების ინფორმაციას“.

ნახ. ვ. ალბოლსკისა

ბატონმა დასცხო ლაქიას
უთხრა მომმაგე წყენაო,
უფრო უკეთეს ტყუილებს
რათ არ ოგონებ შენაო? —

გაზეთებიდან

## სპახანოვური სპილით

ნახ. ს. ნადარეიშვილისა

1.

— გამოცდილი მონადირე ივანე ყოველთვის სტახანოვური მაჩვენებლებით ასრულებდა გეგმებს. შარშან აგვისტოში მან მონკაშვირს ჩაუბარა 20 მოკლული მგლის ტყავი. —

(იხ. სურათი 2)

## ქაფარა მოთხრობები

### ფარეოფა

„ფოლკიშერ ბეობაბტერის“ რედაქციის თანამშრომლები შეშფოთებულნი იყვნენ საბჭოთა კავშირის საინფორმაციო ბიროს თავმჯდომარის მოადგილის ამბ. ლოზოვსკის განცხადებით, რომელშიც დოკუმენტალურად დადასტურებული იყო, რომ ეკრანიზის არმია წარმოადგენს ქურთთა, მოძალადეთა, სამოკალაჭო მოსახლეობის ძარცველთა და მკვლელთა ორგანიზებულ ბანდას.

— ეკრანიზის არმია და ქურდობა? რა აქვს ეკრანიზელ ჯარისკაცს საქურდავი? მივა ალებულ სოფელში მცხოვრებ მოქალაქის ოჯახში, აჩეჩნებს ეკონერალური შტაბის უფროსის ბრძანებას, რომელშიც ეწერება, რომ ესა და ეს სოფელი „უნდა დაცალილ იქნეს მცხოვრებლებისაგან 24 საათის განმავლობაში. არაგვიარი ნივთების გატანა არ შეიძლება“ — დიაღ, უჩვენებს ამ ბრძანებას და 24 საათის შემდეგ უსტარონიდ დარჩენილ ოჯახში დატოვებულ ნივთებს დაეპატრონება, რომ სხვამ არავინ გაიტაცოს. უფრო ხშირად თანვე წაიღებს პატრონისათვის შენახვის მიზნით. ამას ქვია ქურდობა? ეს ქურდობა კი არ არის, უკიდურეს შემთხვევაში ნაპოლნის დასაკუთრებაა და მეტი არაფერი.

— მართალი ხარ,—დაიმოწმა მეორე,—ბოლშევიკები ცილს სწამებენ ჩვენს მებრძოლებს, თითქოს ისინი მოსახლეობას ძარცვავდნენ. ამას უბრალო დაფიქრებითაც მიხვდება ადამიანი. ჩვენი არმია სადაც კი მიდის, ყველაზე სიკეთილ მიაქვს; მოსახლეობას ახალი ადგილის დაკავებისთანავე უსწორდება ისე, რომ ქვას ქვაზე აღიღებს, ადამიანის ნასახს ალარ სტოვებს და ვიღასა გაძარცვა შეეძლოთ? არ არსებულ ადამიანებს ხომ ვერ გაძარცვავს, ან საიქიოში ხომ ვერ წვავ დამოცილ ადამიანებს გასაძარცვავად? რაც საკმაოშია, კი ყველაფერი უსტარონიდ რჩება და უსტარონი საქონლის პატრონი თე ვერ ნახავ ვიღას გაძარცვავ? ამაზე მეტი ცილისწამება დაუშვებელია.

— მართალი ხარ,—დაიმოწმა მესამე,—ჩვენს ჯარს მკვლელთა ბანდასაც უწოდებენ. ესეც ცილისწამებაა. მე თვითონ ვიღებულობდი ფიურერის საღვთო ომში მონაწილეობას. ჩვენ სადაც დავიხლებოდნ, ვესვრთ მშვიდობიან მცხოვრებლებს. დიაღ, ჩვენ მხოლოდ თოფებს და ტყვიამფრქვევებს ვუშენთ მშვიდობიან მოქალაქეებსა, და სიკვდილით კი თითონ ვკვდებიან. განა შეიძლება ასეთ პირობებში ჩვენისთანა რაინდების „მკვლელებად“ მონათვლა?

ხებობსენებული გაზეთის რედაქტორმა გადასწყვიტა თანამშრომელთა დიალოგის სადღესასწაულო დიფშნდებიანა თავის გაზეთისაგან, და ჰიტლერისათვის „ქეის გამტეხი“ ფარაოდა სპეციალ ინფორმაციის წინასიტყვა

მ—ზა

## ფაშისტი მფრინავი ჯოჯოხეთში

(ფურმოლი ხეფრობა)

პაპა ნიკოლა ძველი კაცია, მაგრამ არც ერთი ახალი ამბავი არ გამოგეპა. გაგონილს საკეთილო დასკვნებით შეადარებ ხეს, შემდეგ ენაწყლიანად გიკვებავ. ამაზწინათ ჰიტლერისა და მისი მფრინავების შესახებ შემდეგი ამბავ:

— ჰიტლერი ცუდ ხასიათზე იყო. ფაშისტი მფრინავები წითლებთან ბრალს ვაურპაანო, ამაკარად სჩანს სიკვდილის ეშინაითო.

— როგორმე უნდა შეეჩერო სიკვდილს... — სთქვა ჰიტლერმა და გებელი რჩეული ღერეის მიმართა.

— ხელშეკრულება დადეთ,—უთხრა თერმე ჰიტლერმა მიქელ-გაბრიელ. მე ალეადგენ მიწაზე შენს ეკლესიებს. შენ კიდევ ყოველი ჩემი დალეტილ მფრინავი სამოთხეში შეუშვი.

— შენ ადამიანებთან დადებულ ხელშეკრულებას არ ასრულებ და მე მაყრი ხერხსო?—უთხრა მიქელ-გაბრიელმა.—არაო, სანუი არა ხარო.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ჰიტლერმა დათანხმა მიქელ გაბრიელ და ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.

## სიმართლე ნამოსცდა

„რეპინეთის ჯარის პოლკოვნიკი სამინესკეკ ერთ-ერთ თავის ბრძანებაში წერს: „ამაწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ. რომ ჩვენი ჯარისკაცები და ოფიცრები ეწევიან ძარცვა-გლეჯას“.

ტყვედ ჩავარდნილ რუმინელთა
პოლკს უპოვეს დოკუმენტი,
ნათელს ჰფენდა სინამდვილეს,—
მტერს დასხმოდა თავში რეტი
პოლკოვნიკმა სამინესკუმ
ჯარს ბრძანება დაუწერა,
რომ წითლებთან ბრძოლებმა ზოგს
შიშით გული აუჭერა,
ჯარისკაცებს და ოფიცრებს
თერმე ბრძოლა ალარ უნდათ,
ბევრმა ფრონტი მიატოვა,
თავის ოჯახს დაუბრუნდა.
ხშირად თვითონ მას უნახავს,
ოფიცრები ცრემლსა ღვრიდნენ
და წითლების დანაჯაზე
იარაღებს აქვე ესროდნენ.

ულ—რა.

## ისრებში

### ჰიტლერი და ნაბეის ყუთი
### ანუ უბედო ცხვირსახოცი

ხელგარეთის ზოგიერთ მაღაზიებში მოიტანეს გასაყიდათ ცხვირსახოცები, ჰიტლერის ფოტოსურათებ ბეჭდილნ. ამ ფოტოსურათზედაც გამოსახულია ჰიტლერი. მოსახლეობა ყიდულობს, იხოცავს ცხვირს და შემდეგ დეფინსტრატიულად ყრიან ნაგვის ყუთში.

(გაზეთებიდან)

მაღაზიებში გამოჩნდა
ახალი ცხვირსახოცები,
ადოლფ ჰიტლერის „ფათრეთით“,
მხატვრული, გასაოცები;

— „ —

მოაწყდა მეადგილენ ქრეხული: —
მოხუცი, ბავშვი, ქალი,
სულ ერთ საათში გასაღდა
ასი ათასი ცალი.

— „ —

ყველამ გასწმინდა ცხვირი და...
სულ არ გასულა წუთები:
ცხვირსახოცებით ავსილ
კეტრებში ნაგვის ყუთები.

### პარტიზანები და ხელუხლებელი ჯილდო

გერმანიის სარდლობამ გამოაცხადა, რომ ვინც ცოცხალ პარტიზანს მოიყვანს 400 მარკას მიიღებს ჯილდოდ, ვინც მკვდარს—300 მარკას, ამ ჯილდოების თანხებიდან გასაყალი სასესებით არ არის.

(გაზეთებიდან)

შეშინებული სარდლობა
რომ არსით ელის შეელასა,
პარტიზანი შესაშფოთრავად
ჯილდოს მპირდება ყველასა.

— „ —

ცოცხალს ვინც მოგვვერის პარტიზანს
მიიღებს ოთხას მარკასო,
მკვდარშიც კი სამასს ვიძლევთო,
რაგვან ვგრანოსთ მაგარ დარტყმასო.

— „ —

მაგრამ პარტიზანი გმირების
ვინ არის ხელისმბლეველი?
და ჯილდოების თანხებიც
რჩება ხელშეუხლეველი.

დ. ბილა—

ნახ. ბ. ლომძახა

## ბერლინის ქუჩაზე

— სპარსეთიდან დაბრუნებული: ოხ, რა სპარსული შილაფლავი დამატოვებინეს რუსებმა.

აღმოსავლეთის ფრონტიდან დაბრუნებული: ჩემი საქმე უარესად წავიდა, ვერც იქაური პური ვჭამე და ფეხიც დავტოვე.

## აქაც სპახანოვური სპილით

2.

— წელს ფრონტზე გმირულად იბრძვის როგორც პარტიზანი და სამაგალითო მაჩვენებლებს იძლევა დავალებათა შესრულებაში. მან აგვიხატოს გაბმავლობაში თავის შტაბს ჩაბარა 35 ცოცხალი მგელი, ხოლო მის მიერ დახოცილების რაოდენობა ჯერ მოლიანად არ არის დაზუსტებული.

## ნარე მოლოდინში

— გავიგე, რომ მა[illegible] ბავშვიანად გერმანიიდან უცხოეთში მიემგზავრ[illegible]

— მართალია.

— ნეტავ მეც წ[illegible]ნა, რომ თავი დავადწიო „ფრონტზე მიმავალ[illegible]ის“ შვილის დედობას.

## რუმინელი ოფიცრის გოდება

ფაშისტთა მომსახურებას
ადვილად ეტყვის ენაო?
დილით ძარცვისათვის მგზავნიდნენ,
სალამის ფრონტზესენაო:

თუ ბლეს ლრტტენს წაართმევ,
ხორცი ჩვენ, ჩლეკი—შენაო—
და თუ პარტიზანს დამიჭერ,
ხორცი შენ, პალტო ჩვენაო.

— „ —

გერმანელებს მხეცობას
ადვილად ეტყვის ენაო?
გვაძლევენ ეთობთო:
—ზეგრი ჩვენ, ფრონტი—ქვენაო.

და თუ ქალაქებს ავიღებთ,
წამოვალთ ხიდისკენაო,
ზედ ჯერ თქვენ გადდგებტარებთ,
უკან მოგვყვებით ჩვენაო.

თუ არ ადეთქვა ხიდები,
ბეშინ მოგელით ლხენაო,
ჰოი, სიცდილმა გაელატოს
კაცობა ყველაო.

კ. გოგიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ა. კონევსკისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეშლილთა შორის

— ვერ გამიგია, ბატონო მიულლერო, რატომ ამაყობთ ასე თქვენი ავადმყოფობით, ეგ ხომ ჩვეულებრივი განდიდების მანიაა?
— დიახ, დიახ, ეს იმას ნიშნავს, რომ მე და ფიურერი ერთი ხენით ვყოფილვართ დაავადებულნი.

## „მოხალისეთა“ შეგროვება—ფაშისტურად

„გერმანელი ფაშისტები ცემითა და წამებით აიძულებენ პატიმრებს თანხმობა განაცხადონ ფრონტზე მოხალისედ წასვლაზე. ბელგიაში ამ საშუალებით მათ შეაგროვეს 14 მოხალისე“. გაზეთებიდან

ნახ. გ. ლომიძისა

— გამოსთქვამ თუ არა სურვილს შე არამზადავ, გერმანიის არმიაში მოხალისედ წასვლაზე?
— ვერ შევძლებ ბატონო გესტაპოელებო, რადგან არც სპირტის სმა შემიძლიან და არც ძარცვა-გლეჯვა.

# საიდუმლო ბარათები

„გერმანიის სარდლობამ გამოსცა ინსტრუქცია, სადაც სხვათაშორის ნათქვამია: „უცხოეთიდან მიღებული ცნობებით, გერმანელ სამხედრო ტყვეებს ზოგჯერ უნახეს ნათესავებისაგან მიღებული წერილები, რომელშიაც ლაპარაკი იყო, თუ რა განწყობილებაა სამშობლოში, რა სასურსათო დაბრკოლებებია და სხვ. ყველა ასეთ წერილს ფართოდ იყენებს მტრის პროპაგანდა...“ ამიტომ ინსტრუქცია მოუწოდებს ამ გარემოების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ“. გაზეთებიდან

**განს** —
**ფრიც** — } გესტაპოს აგენტები.

**ფრიც** — როგორ მოგწონს განს, ეს ახალი ინსტრუქცია, რომლის მეოხებითაც ჩვენ დაგვევალა საიდუმლო ბარათების კითხვა?

**განს** — მართლაც რომ მოსაწონია. ამ ინსტრუქციამ ჩვენ იოლი სამსახური გაგვიჩინა: ვზივართ ჩვენთვის მყუდროთ და ვკითხულობთ ჯარისკაცთა ნათესავებისა და საკოლეების ბარათებს.

ჩემმა მზემ ჩინებულად ვერთობი ამ წერილებით, განსაკუთრებით შეყვარებულთა საიდუმლო ბარათებით.

**ფრიც** — მაგრამ გართობასთან ერთად ისიც ხომ გახსოვს, თუ რა შეადგენს ჩვენს მოვალეობას?

**განს** — ჩვენი მოვალეობაა გულდასმით გადავიკითხოთ ჯარისკაცთა ნათესავების წერილები და თუ მათში ლაპარაკი იქნება ჩვენი ქვეყნის სასურსათო კრიზისზე, ან ომით უკმაყოფილებაზე, მოვსპოთ.

**ფრიც** — ვთქვათ შენ ასეთი წერილი ჩაგივარდა ხელში: „ჩემო საყვარელო ვალტერ, აღარ მაქვს იმედი რომ ერთმანეთს კვლავ ვნახავთ და მყუდრო ცხოვრებით გავიხარებთ. პური, ხორცი, ცხიმი, შაქარი არ იშოვება; კარტოფილსაც სამ დღეში 1 კილოს გვაძლევენ...“ ამის შემდეგ მხოლოდ სიყვარულზეა ლაპარაკი, რაც უმნიშვნელოა... როგორ მოიქცეოდი?

**განს** — რა თქმა უნდა მოვსპობდი, რადგან ეს მეტად პესიმისტური წერილია, ჯარში გულგატეხილობას გააძლიერებს.

**ფრიც** — განს, დაკვირვება გაკლია, დაკვირვება! პირველი შეხედვით ეს ბარათი მართლაც უიმედობის დამნერგავია, მაგრამ თუ დავუკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ საკმარისია ამ ბარათიდან ამოვშალოთ ორი სიტყვა: **აღარ** და **არ** და ჩავუმატოთ ციფრი 5 მარჯვნიდან, იქ სადა სწერია **1**, — ეს სულ ადვილია და სავსებით შეუმჩნეველი დარჩება. მაშინ კი ბარათი ასე წაიკითხება:

„ჩემო საყვარელო ვალტერ, მაქვს იმედი, რომ ერთმანეთს კვლავ ვნახავთ და მყუდრო ცხოვრებით გავიხარებთ. პური, ხორცი, ცხიმი იშოვება; კარტოფილსაც სამ დღეში 15 კილოს გვაძლევენ...“ და ა. შ.

აი როგორ შეიძლება პესიმისტური ბარათის ოპტიმისტურად გარდაქმნა. მე ეს ჩემი გამოგონება მინდა წარვადგინო და იმედი მაქვს ჯილდოს მომცემენ. რას იტყვი?

**განს** — რას ვიტყვი? დიდი გაიძვერა ხარ ფრიც. შენ უთუოდ ჯილდოსაც მიიღებ და მალე დაგაწინაურებენ.

**ფრიც** — შენ კი ვითომ მამა აბრამის ბატკანი ხარ?

**განს** — განა მაგას ვამბობ, რომ მე პატიოსნებასა და სინდისნამუსს ვიცავ მეთქი. არა, მეც ათასი უნამუსობა ჩამიდენია, რამდენჯერ ებრაელთა დარბევაში მონაწილეობა მიმიღია, რამდენი უდანაშაულო კაცი საკონცენტრაციო ბანაკში გამიგზავნია, მაგრამ შენსავით მოხერხებული მაინც არა ვარ.

**ფრიც** — ჰო, ეგ მართალია. მაგრამ შენც მალე დახელოვნდები. დღეს, ფაშისტურ გერმანიაში სიმართლით პურის ჭამას ვერავინ შესძლებს.

**ყირიმელი**


**სარედაქციო კოლეგია**

**რედაქციის მისამართი ყორესის ქ. № 5.**

ხელმოწერილია დასაბეჭდათ 1941 წ. 11/IX. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. გამომც. № 53. შეკვეთა № 1318. УЕ34080. ტირაჟი 15000.

41-337

# ჰაილ, ჰაილ! და ვაი-ლ, ვაი-ლ!

„№ სოფელში ჩვენი ჯარის შენაერთმა ახლოს მოუშვა ავტომატებით შეიარაღებული მტრის ასეული და ხელჩართულ ბრძოლაში — წაწილა ანადგურა და ნაწილიც ტყვედ ჩაიგდო“.

გაზეთებიდან

წახ. ი. ვეფხვაძისა

1. ჰაილ, ჰაილ იძახოდნენ
   და ისროდნენ ავტომატებს,
   არაყებიც გადაეკრათ
   ეთქვათ: სიმხნეს მოგვიმატებს.



2. მაგრამ როცა წითელ ჯართან
   ახლოს მისვლა განიზრახეს,
   მყისვე გაჰქრა მათი სიმხნე
   ვაი-ლ, ვაი-ლ! — დააძახეს.